# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—ორშაბათი, 13 ნოემბერი 1900 წ. № 1297

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**



დაიბეჭდა და იყიდება დ. კლდიაშვილის მოთხრობა

## ქამუშაძის გაჭირვება

**ტფილისში:** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში. **ქუთაისში:** ვ. ბეჟანიშვილის და ბათუმში—სპ. ჰელიძის მაღაზიებში. (5—3)

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

## მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი

**ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.—ქართული კაბებისათვის ცალკეა მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი. (10— უ.—8)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.**

**ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე** კვირა უქმეების გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.**

**მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების და წამლობა ელექტრონით—9—10 ს.**

**ნ. ა. მუსხელი—ყურის, ყელის და ცხვირისა—10—11 საათამდე.**

**ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 საათამდე.**

**ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათამდე.**

**დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 საათამდე.**

**მ. გ. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათამდე.**

**გ. დ. მარკევიჩი—სდოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.**

**ი. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.**

**ს ა დ ა მ ო თ ი:**

**ი. ს. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათამდე.**

**ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.**

**სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.**

**ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტა ღარიბთათვის უფასოა.**

**ადრესი:** **კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).**

**ტელეფონი № 274.**

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) **მიხეილ გედევანიშვილი.**


## ახალი ამბავი

✦ გუშინ, 12 ნოემბერს, დიდუბის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და შემდეგ პანაშვიდი განსვენებულის ჩვენის ისტორიკოსის **დიმიტრი ბაქრაძის და ალექსანდრე როინაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ აკურთხეს განსვენებულთა საფლავებზედ აგებული ძეგლები. ბაქრაძის საფლავზე ძეგლი აუგია ქართველთა საზოგადოებას შემდეგის ზედ წარწერით: „საქართველოს წარსულის გულმოდგინე მკვლევარს დიმიტრი ბაქრაძეს 1827—1890 წ. ქართველთა საზოგადოება“, ხოლო როინაშვილის საფლავზედ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ამ წარწერით: „სამაგალითო ქველმოქმედს და თავის ქვეყნისადმი სიყვარულით აღსავსე ალექსანდრე როინაშვილს 1898 წ. ქ.-შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება“. პანაშვიდზე გალობდა ქართველ სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი. პანაშვიდსა და ძეგლების კურთხევას დაესწრნენ: ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მისის უდიდებულესობის სასახლის ეგერმეისტერი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენელნი, სათავად-აზნაური სკოლის ინსპექტორი და მასწავლებელნი და განსვენებულთა მრავალი პატივის მცემელნი.

✦ დღეს, 13 ნოემბერს, მოხდება ქალაქის **საბჭოს მორიგი კრება** რომელზედაც განხილულ იქმნება, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: ქალაქის გამგეობისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელის შორის მომხდარი უკმაყოფილება, რომლითაც გამგეობას აღნიშნულ საზოგადოების წარმომადგენელი უკავებს შეპირებულს 600,000 მან., რომელიც სესხად უნდა მიეცა გამგეობისათვის; დადგენილება ქალაქის გამგეობის და კომისიის შეერთებულ კრების მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან ასი წლის შესრულების აღსანიშნავად დღესასწაულის გარდახდის შესახებ; წინადადება ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ტფილისში საადრესო სტოლის დაარსების შესახებ; მოხსენება ქალაქის გამგეობისა ტფილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის შენობის შესაკეთებლად საჭირო ფულის გადადების შესახებ და სხვანი. სულ საბჭოს განსახილველად აქვს 25 საქმე, რომელთაგანაც ზოგიერთი საქმეები თითქმის ოთხი ხუთი თვეა დანიშნულია განსახილველად საბჭოში. მაგრამ დღემდე საბჭოში ხმოსანთა რიცხვის გამოუცხადებლობის გამო უყურადღებოდ არის მიგდებული, რაზედაც, როგორც მკითხველებმა უწყიან, საგუბერნიო მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და ცნობები მოსთხოვა ქალაქის მოურავს—შემატყობინეთ თუ რა მიზეზითაა ეს საქმეები ამდენი ხანი დარჩენილი განუხილველადაო.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**11 ნოემბერი**

**პეტერბურგი.** „პრავიტ. ვესტ.“ იტყობინება: „გენერალმა ფოკმა 19 ოქტომბერს მტრის მოსაძებნად წავიდა სუნგარის სათავეებში, ჩაპიჩაის რაიონში, რომელსაც განაგებს ხაიდენგიუ. 20 ოქტომბერს რაზმმა იერიში მიიტანა „ხაიმინის ზავოდზედ“, რის დროსაც ერთი ზარბაზანი ვალონტიორებმა წაართვეს მტერსა, მეორე ზარბაზანი ჩინელებს დაეგდოთ და ჩვენ დაგრჩა, მესამე—სამთო ზარბაზანი ჩინელებმა მთაშ წაიღეს. ხაიდენგიუ რამდენიმე თავისი კაცით გაიქცა ჩაპიჩაოუში. 22 ოქტომბერს რუსის ჯარმა დაიჭირა მუხიცე და ააფეთქა საწყობები თოფის წამლისა, პატრონებისა და საკვები სურსათისა, რომელნიც ეკუთვნოდნენ ხაიდენგიუს. ჩვენ ხელში ჟიგდეთ 7 ზარბაზანი, ამათგან 1 ცხრა გირვანქიანია, 4—ოთხ გირვანქიანია და ორი სამთოო“.

დეპეშები მოვიდა, რომ ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელოთ გადაუხდიათ პარაკლისები ბათუმსა, ტამბოვს. ტვერსა და კიევში.

**შანხაი.** ამბობენ, სამხრეთში ჩაქრა ფულის უქონლობის მიზეზით და აგრეთვე იმის გამო, რომ სუნიცზენს დააკლდა ოთხი საუკეთესო გენერალი.

**ვაშინგტონი.** ის ცნობა, ვითომც შეერთებულ შტატებს განზრახვა ჰქონდეთ, თუ ჩინეთი განაწილებულ იქმნა, დაიჭიროს ზღვის პირი, სადაც ნავთ-სადგური ამოი მდებარეობს, მოკლებულია საფუძველს. ამისთანა განზრახვაზე არასოდეს ლაპარაკიც არა ყოფილა.

**შანხაი.** ხმა დადის, ვითომ შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანიის შუა მოლაპარაკებაა გამართული შესახებ შეთანხმებისა იმ საზღაურის თაობაზედ, რომელიც უნდა მოეთხოვოს ჩინეთს.

ამბობენ, მთელი კვირაა, რაც მოლაპარაკება სწარმოებს და მოლაპარაკების შედეგს ჩქარა გამოაცხადებენო. საფიქრებელია, სახელმწიფონი იმაზე შეთანხმდებიან, რომ არც ერთმა მათგანმა არ მიიღოს ზომები, რომელსაც შეუძლიან გამოიწვიოს ჩინეთის იმპერიის დაცემა. თუმცა შეთანხმება ვერ განახორციელებს საბოლოო სამშვიდობო პირობებს, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ სამშვიდობო პირობები დამყარებულ იქმნებიან ზომიერ პოლიტიკის საფუძველზედ. სხვა სახელმწიფოებსაც წინადადება მიეცემათ შეუერთდნენ შეთანხმებას.

**პარიზი.** კრიუგერი მოვიდა აქ დილას. მას ოვაციებით მიეგებნენ.

**გააგა.** კრიუგერს აქ მოელიან 17 ან 18 ნოემბერს.

**შანხაი.** აქ მიიღეს კერძო წერილი ერთ ჩინელ მანდარინისაგან სინანფუდან, რომელშიაც

ნათქვამია, რომ ქვრივი დედოფალი უქეიფოდ არისო. ალბათ, მას რაღაც შინაგანი ავადმყოფობა უნდა ჰქონდესო. შანსის პროვინციაში საშინელი შიმშილობა არისო. როგორც აღმოჩნდა, სანოვაგის საწყობები სრულიად ცარიელები ყოფილან. სინანფუს ოლქში ხალხი ხის ფოთლებითა და სხვა-და-სხვა ბალახის ძირებით იკვებება.

**შანჰაი.** ნანკინიდან იტყობინებიან, რომ გერმანიის უმთავრესმა კონსულმა აცნობა პროვინციის მმართველს, გერმანიას განზრახვა აქვსო 15,000 ჯარის-კაცი გაჰგზავნოს სინანფუსაკენ. ეს ამბავი არ არის სრულიად მართალი, მაგრამ ნამდვილია შემდეგი: რადგანაც სინანფუზე იერიშის მიტანა ჩრდილოეთიდან შეუძლებელია, გერმანიამ განიზრახა ექსპედიციის გაგზავნა იანცზეზე; ეს ექსპედიცია უნდა შემდგარიყო უმთავრესად გერმანელთაგან, რადგანაც შანჰაიში ინგლისელებს მხოლოდ ერთი ბრიგადა ჰყავთ, მაშინ როდესაც გერმანელთა ჯარი იქ დიდძალია. ამასთანავე იტყობინებიან, რომ კიაო-ჩაოში 8000 გერმანელი ჯარის კაცი არის მზად. ამგვარ გეგმას შეეძლო გამოეწვია ამბოხება ჩინელთა შორის, რომელნიც მზად არიან შემოუშვან ინგლისელები, მაგრამ ეშინიანთ გერმანიის შემოსევისა. ნანკინის პროვინციის მმართველმა უკვე დაიჭირა ბინა თავის ოჯახისათვის. ჩინელები ავრცელებენ ხმას, ვითომ გერმანელებს განზრახვა ჰქონდეთ დაიპყრონ მდინარე ხვაის შესართავი, კიენგჩოუს ჩრდილოეთით, რაც მათ გაუხსნის გზას დიდ არხისაკენ.

სინანფუს მდგომარეობა: როგორც სჩანს კერძო წყაროებიდან, მეფე და დედოფალი სცხოვრობენ გუბერნატორის იამენში. მათ იცავს საკუთარი სადარაჯო რაზმი 250 კაცისაგან შემდგარი, მაგრამ გარდა ამისა მათ გარს არტყია დიდძალი ჯარი, რომელიც ემორჩილება ტუნფუსიანს და რომელსაც მთელი ქალაქი უჭირავს. ტუნფუსიანი თავისუფლად დადის აკრძალულა ნაწილში, როდესაც ჰსურს და სრულიად არ ემორჩილება სასახლის წესებს. იმპერატორის ერთად-ერთი ნუგეშია მაჰმადიანი გენერალი მა, რომელიც სინანფუს გარედ სდგას 5000 კაცით. მას ჯავრი სჭირს ტუნფუსიანის, რომელმაც ნათესავი მოუკლა. ტუანი წავიდა ქალაქ ნინხსიაში, კანსუს პროვინციაში. იქ მან უნდა შეაგროვოს ჯარი ტუნფუსიანისათვის და ააშენოს სიმაგრეები იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა ტუნფუსიანი განდევნილ იქმნება სინანფუდან.

ყოველი მეცადინეობა ქვრივ დედოფლის მხრივ ტუანის დასატუსაღებლად—სიგიჟე იქნებოდა. სია ნანფუში დატუსაღებული პრინცი ჩვანი მხოლოდ დაბალი ლობეა პრინცი ტუანისათვის; ცხადია ისიც, რომ იმპერატორის სახლობა პეკინში არ დაბრუნდება ზამთრის განმავლობაში; მასზედ იერიშის მიტანა შეიძლება მხოლოდ იანძესველის მხრით.

**ტიანძინი.** „დიდი მუშტის“ წინამძღოლთა სიკვდილით დასჯის მოთხოვნის გამო უთანხმოება დაიბადა უცხოელ ელჩების შუა.

### 12 ნოემბერი

**ლივადია.** 12 ნოემბერი, დილის 11 საათი. ხელმწიფე იმპერატორმა გუშინდელი საღამო მოსვენებით გაატარა; შუა დღის 3 საათზე სიცხე ავიდა 39,7 გრადუსამდე ხოლო მაჯა—88. საღამოს 9 საათზე სიცხე ჰქონდა 39 გრადუსი, მაჯა 80. მის უდიდებულესობას ღამე კარგად ეძინა. დილით თვითგრძნობიერობა და ღონე კარგი ჰქონდა. ავადმყოფობა ნორმალურად მიმდინარეობს. 9 საათზე სიცხე 37 გრადუსია, მაჯა 75. ლეიბ ხირურგი გირში; საპატიო ლეიბ-მკურნალი პოპოვი; ექიმი ტიხონოვი.

**ვაშინგტონი.** გერმანიამ, რუსეთმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და იაპონიამ გუშინ დაარწმუნეს ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები, რომ ჩინეთის კითხვის მალე დასაბოლოვებლად ჰსურთ ერთად მოქმედება. სახელმწიფოებმა აშკარათ გამოაცხადეს სურვილი საქმე ის ედაბოლოვდეს, რომ ჩინეთის მთავრობა უშიშრად დათანხმდეს და შეურყეველ იქმნას ჩინეთის არსებობა. როდესაც მოლაპარაკება დაბოლოვდება, შეერთებული შტატები ჰსთხოვენ ჩინეთს თანხმობას შესახებ ნახშირის საწყობის გამართვისა შანდუნში.

**შანჰაი.** ადმირალი სეიმური და საგენერალო კონსული უორენი ცდილობენ დაათანხმონ ლიხუნჩანგი და ჩჟანჩჟიდუმა იმაში, რომ მათ ნება დართონ ინგლისის ჯარის გაგზავნაზე მდ. იანცზეზე ლუფუტენისა და სინანფუს შუა.

**პეკინი.** ის ცნობები, რომ ვითომ საფრანგეთის ჯარებმა გაძარცვეს სილინისა და ტულინის აკლდამებიო, უსაფუძვლოა. სეიკებმა გაძარცვეს სილინის სალოცავი, მაგრამ ფრანგები იცავდნენ აკლდამებს სეიკებისაგან.

**პარიზი.** ვაგონიდან გამოსვლის შემდეგ კრიუგერს პრეზიდენტის და საფრანგეთის მაგიერ მიეგება ცერემონიიმეისტერი კროზიე; მას კრიუგერმა დიდი მადლობა გადუხადა. ქალაქის საბჭოსა და ადგილობრივ საეროზო საბჭოსაგან კრიუგერს სიტყვები უთხრეს. კრიუგერმა თავის საპასუხო სიტყვაში მოიხსენია პარიზის ღერბი და სთქვა, რომ ტრანსვაალი წყალშიაც არ დასძირავს და არ დაიღუპებაო. გაისმა აღტაცებული ყვირილი: „გაუმარჯოს კრიუგერს! გაუმარჯოს ბურებს!“ სადგურის ირგვლივ და ქუჩებში აუარებელი ხალხი იმასვე გაიძახოდა. ზოგან ყვიროდნენ სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებაც. ყველა ქუდს უხდიდა კრიუგერს. სადგურიდან სასტუმრომდე არავის არ დაუძახნია საწინაალმდეგო რამ, ყველანი აღტაცებით ეგებებოდნენ კრიუგერს პოლიცია წესიერებას იცავდა სასტუმროსთან. 11 საათზე და 50 წ. კრიუგერი გამოვიდა ბალკონზე და სალამი მისცა აუარებელ ხალხს, რომელიც სასტუმროს წინ იდგა. ლუბე მიიღებს კრიუგერს ნაშუადღევს.

ლუბემ მიიღო კრიუგერი 4 საათზე. ქუჩებში ხალხი აღტაცებით სალამს აძლევდა ტრანსვაალის პრეზიდენტს. ელისეის სასახლეში მას დახვდა საპატიო რაზმი ქვეითი ჯარისა. მუსიკამ დაუკრა ტრანსვაალის ჰიმნი. კრიუგერი შეიყვანეს ელჩების დარბაზში, სადაც მას მოელოდა ლუბე დელკასესთან ერთად. ბაასი 10 წუთს გაგრძელდა. კრიუგერი დაბრუნდა სასტუმროში იმავე ცერემონიალით. კრიუგერს ჰქონდა გაკეთებული მწვანე შარფი, რომელიც ფორმაა ტრანსვალიის პრეზიდენტისა, და აგრეთვე საპატიო ლეგიონის ჯვარი. 4 საათზე და 30 წუთზე ლუბემ გადაუხადა კრიუგერს ვიზიტი.

**ლონდონი.** სრულიად სარწმუნო წყაროებიდან გაიგეს, რომ იაპონიის მმართველობამ საერთო ნოტის ხელის მოწერამდე მოითხოვა განსაკუთრებული დაკმაყოფილება იაპონიის საელჩოს კანცლერის მოკვლისა გამო. თუ შევადარებთ იაპონიის მოთხოვნილებას, რომელიც მხოლოდ შეაჩერებს სახელმწიფოებათა ერთად მოქმედებას, — იიპონიის წინანდელ წინადადებათ, რომელშიაც უარს-ჰყოფდნენ ტუანისა და ამბოხების სხვა მოთაევეთა დასჯას, ცხადია, რომ იტო მინისტრ-პრეზიდენტის თანამდებობაშიაც ხელმძღვანელობს თავის წინანდელ აზრით შესახებ ყვითელ ტომთა კავშირისა.

რედაქტორი: ალ. ზუნნია. გამომცემელი: ალ. ჯაბადარი.

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი ტფილისის)

სწრაფი მატარებელი **№ 2 ტფილისიდან ბაქოში** გადის კვირაში ერთხელ ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 მ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 მ.).

სწრაფი მატარებელი **№ 1 ბაქოდან ტფილისში** გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ).

სავოსტო მატარებელი **№ 3 ბაქოდან ტფილისში** გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.)

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის საღამოს 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 5 ბაქოდან ტფილისში** გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილით 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.),

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბათუმში** გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი **№ 6 ბათუმიდან ტფილისში** გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

სავოსტო მატარებელი **№ 4 ბათუმიდან ტფილისში** მიდის საღამოს 10 ს. 47 წ. (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი **ტფილისიდან ბაქოში** გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 საათზე (7 ს. 58 წ.).

## განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის **კიოსკში** და წ.-კითხ. გამ. საზოგ. მაღაზიაში **შ. არაგვისპირელის**

**პირველი წიგნი**

**ფასი ათი შაური**

პროვინციაში მცხოვრებთ ეს წიგნი შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество. გადასაგზავნი ხარჯი არ გადახდება მათ, ვინც ქართ. ამხ. კიოსკიდან დაიბარებს და წიგნის ღირებულ ფასს (ათ შაურს) პირველადვე გამოგზავნის. ფასად ფოსტის მარკებიც შეიძლება გამოგზავნონ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Ноября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.